# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 41

(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. ახმეტა „ 8 " „ აპრილი " 2019 წელი

ერთის მხრივ ა. (ა). ი. პ. „ ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი " (შემდგომ „ შემსყიდველი "), წარმოდგენილი მისი დირექტორის ქეთევან მარჩილაშვილის სახით და მეორე მხრივ ი / მ '' ზურიკო კაიშაური '' (შემდგომ-„ მიმწოდებელი ") , წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურიკო კაიშაურის სახით ორივე ერთად ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის, „ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " საქართველოს კანონის შესაბამისად ვაფორმებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1.ტერმინთა განმარტებები

1.1. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (შემდგომ - ხელშეკრულება) - „ შემსყიდველსა " და „ მიმწოდებელს " შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ , ყველა თანდართული დოკუმენტით.

1.2. ხელშეკრულების ღირებულება- საერთო თანხა, რომელზედაც გაფორმებულია ხელშეკრულება.

1.3. „ შემსყიდველი "-ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „ მიმწოდებელი "-პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. დღე, კვირა, თვე-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6. საქონელი - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

## 2.ხელშეკრულების საგანი

2.1. კლასიფიკატორის დანაყოფი (CPV)- კოდი - 1. 411 10000 - სასმელი წყალი - კასრისწყალის საბავშვო ბაღისთვის - 10 ლიტ. ბალონებით - 150 ცალი

## 3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულებაა - 525 ( ხუთასოცდახუთი ) ლარი

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ღირებულებას, ასევე შესყიდვასთან დაკავშირებულ „ მიმწოდებლის " ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ყველა გადასახადს.

## 4.სტანდარტები

4.1 მოწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში არსებულ სტანდარტებს.

## 5.ანგარიშსწორების ფორმა

5.1. მოწოდებული საქონლის ღირებულება ანაზღაურდება „ მიმწოდებლის " მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან/და სასაქონლო ზედნადები და მიღება-ჩაბარების აქტი) გაფორმების შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორებით, ლარში „ მიმწოდებლის " მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით.

5.2. ანგარიშსწორება ხდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტის გაფორმებიდან არა უგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა.

## 6.შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, გარანტია, პირობები და მიღება-ჩაბარების წესი.

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს, „ შემსყიდველი " ორგანიზაციის მისამართზე ქ. ახმეტა ზ. ჩოლოყაშვილის ქ.N 50 ხელშეკრულების გაფორმებიდან 10( ათი )სამუშაო დღის ვადაში

6.2. წუნის აღმოჩენის შემთხვევაში „ მიმწოდებელი " ვალდებულია შეცვალოს წუნდებული საქონელი ახლით, შეტყობინების მიღებიდან (ტელეფონით, ელ.ფოსტით) 1 (ერთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. საქონელი მიღებულად მიიჩნევა მხარეთა მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ, „ შემსყიდველის " მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

## 7.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „ შემსყიდველი " უფლებამოსილია :

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს „ მიმწოდებლის " მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება;

ბ)ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, თუ „ მიმწოდებელი " სისტემატურად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებს შესრულებას;

7.2. „ შემსყიდველი " ვალდებულია:

ა) აანაზღაუროს „ მიმწოდებლის " მიერ მოწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის და ხელშეკრულების პირობების დაცვით;

ბ)უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების კონტროლი;

გ)განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

7.3. „ მიმწოდებელი " უფლებამოსილია:

ა) მოსთხოვოს „ შემსყიდველს " მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის და ხელშეკრულების პირობების დაცვით.

7.4. „ მიმწოდებელი " ვალდებულია:

ა) „ შემსყიდველს " მიაწოდოს სათანადო ხარისხის საქონელი სრული მოცულობით, ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

ბ) განიხილოს „ შემსყიდველის " დასაბუთებული პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

გ)განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

## 8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას ახორციელებს „ შემსყიდველის " მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი აგრეთვე (მოწვეული ექსპერტი) რომელთაც შეუძლიათ ინსპექტირება განახორციელონ როგორც ინდივიდუალურად ასევე ერთობლივად.

8.2.ინსპექტირება გულისხმობს „ მიმწოდებლის " მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად მოწოდებული საქონლის ხარისხის, რაოდენობის, მიწოდების ვადების და დოკუმენტების კონტროლს.

8.3.ყველა გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორებასთან ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებულ ხარჯებს ანაზღაურებს „ მიმწოდებელი " ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4.კონტროლი ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

## 9. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

9.1.ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები „შემსყიდველისათვის" , გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, შეუძლებელია
ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა. ხელშეკრულების პირობები გადაისინჯება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით , რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა , რაც ხელშეკრულებას.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.

9.4. ხელშეკრულება ან მისი რომელიმე დებულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

9.5. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „ მიმწოდებელს " ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

10.1.მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ მათი შეუსრულებლობა გამოწვეული დაუძლეველი ძალით (ფორს-მაჟორი). მისი არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მისი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

## 11.მხარეთა პასუხისგებლობა

11.1. მხარეები სრულად ანაზღაურებენ ბრალეული ქმედებით (მოქმედებით ან უმოქმედობით) მეორე მხარისათვის მიყენებულ ზიანს.

11.2. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან/და არაჯეროვნად შესრულებისათვის, კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

## 12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას, დაიცვან ხელშეკრულების პირობები.

12.2. ამ ხელშეკრულების 6.1. და 6.2. პუნქტებით გათვალისწინებული ვადების გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელს " ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ეკისრება პირგასამტეხლო დროულად მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,02% ოდენობით.

12.3. „ მიმწოდებლის " მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, „ მიმწოდებელს " ეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ის ოდენობით.

12.4. თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, „ შემსყიდველს " უფლება აქვს, შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 13. ინტერესთა კონფლიქტი

13.1. „ შემსყიდველის " მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი „ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ " საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

## 14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წარმოშობილი ყველა დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილნი არიან, დავის გადასაწყვეტად მიმართონ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად

## 15.ხელშეკრულების მოქმედების ვადა.

15.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 ივლისი-მდე

## 16.სხვა დებულებები

16.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა ხელმოწერის დღიდან.

16.2.ხელშეკრულება შედგენილია 2(ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად რომლის თითო ეგზემპლარი ინახება მხარეებთან.

## 17. რეკვიზიტები

| | |
|---|---|
| ა.ა.ი.პ."ახმეტის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების ცენტრი" | დასახელება: ი / მ „ ზურიკო კაიშაური" |
| ქ.ახმეტა ზ.ჩოლოყაშვილის ქ.№50 | მისამართი: ქ . ახმეტა ჩოლოყაშვილის ქ. N 34 |
| akhmetabagebi@yahoo.com. | ელ. ფოსტა: |
| T.0349221085 , 599857929. | ტელეფონი: 593 53 77 58 |
| ს/ნ 424611281 | ს / კ - 08001017068 |
| სახაზინო კოდი-745523460 | მომსახ. ბანკი - ს.ს. „ ვითიბი ბანკი " |
| სახელმწიფო ხაზინა-TRESGE22 | ბ/კოდი- UGEB GE 22 |
| ცენტრის დირექტორი NNLE AKHMETA MUNICIPALITY KINDERGARTEN CENTER Digitally signed by NNLE AKHMETA MUNICIPALITY KINDERGARTEN CENTER Date: 2019.04.08 16:33:23 +04'00' /ქ.მარჩილაშვილი/ | ა/ა- GE 87 VT 1000002922574506 |
| | დირექტორი : Zuriko Kaishauri Digitally signed by Zuriko Kaishauri Date: 2019.04.08 16:50:33 +04'00' / ზ . კაიშაური / |